

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები შიდა ქართლში

25 მაისი 2018

გორში, კასპი, ქარელსა და ხაშურში 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართება. კერძოდ, გორის მთავარ მოედანზე მოეწყობა საბრძოლო ტექნიკის გამოფენა, ენერგეტიკის სამინისტრო წარმოადგენს სპეციალურ ღონისძიებებს, მოეწყობა სპორტული შეჯიბრებები, გამოფენები, ყველა ქალაქში გაიმართება ადგილობრივი და მონვეული შემსრულებლების კონცერტი, დღის ბოლოს კი გალაკონცერტები დასრულდება ფეიერვერკით.